პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 163 (3647)

20 აგვისტო, 1968 წ. შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 25-ე წელი.

## ...საათი!

### წყალბურთელთა საერთაშორისო...

### ტურნირი...

თბილისში, ზამთრის საცურაო აუზში დაიწყო წყალბურთელთა საერთაშორისო ტურნირი, რომელიც 21-23 აგვისტოს ბათუმის „დინამოს" აუზში გაგრძელდება.

ასპარეზობის პირველ დღეს ჰოლანდიის ნაკრებმა დაამარცხა ჩეხოსლოვაკიელები (6:5), ხოლო საქართველოს ნაკრებმა — ბულგარელები — 6:4.

გაგაცნობთ დანარჩენ შეხვედრათა კალენდარს:

**20 აგვისტო (თბილისი)**

19.00 ჩეხოსლოვაკია — საქართველო

19.50 სსრ კავშირი — ჰოლანდია

**21 აგვისტო (ბათუმი)**

18.00 საქართველო — სსრ კავშირი

18.50 ბულგარეთი — ჩეხოსლოვაკია.

**22 აგვისტო**

18.00 სსრ კავშირი — ბულგარეთი

18.50 ჰოლანდია — საქართველო

**23 აგვისტო**

18.00 ბულგარეთი — ჰოლანდია

18.50 ჩეხოსლოვაკია — სსრ კავშირი.

• • •

გთავაზობთ მხატვარ შ. შანიძის მეგობრულ შარჟებს ჩვენს სტუმრებზე. ზევიდან: ჩეხოსლოვაკიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი შ. რუდოლფი და ბულგარეთის ნაკრების მოთამაშე ი. რაფაილოვი.



◆ **ბერნი, 19 აგვისტო.** გუშინ შვეიცარიის ტრასაზე გაიმართა „500-ანების" კლასში მსოფლიო ჩემპიონატის ბოლო, XIII ეტაპი. ყველას აჯობა გდრ-ის სახალხო პოლიციის ოფიცერმა, შესანიშნავმა მოტოკროსმენმა პ. ფრიდრიხსმა, რომელმაც ზედიზედ მესამედ მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული. ბოლო ეტაპზე ფრიდრიხსმა ინგლისელი დ. ბენქსის დიდი მეტოქეობა განიცადა, მაგრამ შეძლო ამ მწვავე და მძიმე ბრძოლიდან სახელოვნად გამოსვლა. ჩემპიონმა 42 ქულა დააგროვა (ოთხ ტრასაზე — ფინეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ჩეხოსლოვაკიასა და შვეიცარიაში იგი პირველი იყო). II ადგილი დაიკავა ბენქსმა — 41 ქულა, ხოლო III — შვედმა ა. იუნსონმა — 34 ქულა. „250-ანების" კლასში მსოფლიოს საუკეთესო მოტოკროსმენის ვინაობა 10 ოქტომბერს გაირკვევა, როცა ავსტრიაში დასკვნითი, XIV ეტაპი მოეწყობა. ოქროს მედალს ორი მრბოლელი ეცილება ერთმანეთს: ბელგიელი ჟ. რობერი (56 ქულა) და მსოფლიო ჩემპიონი, შვედი ტ. ჰალმანი (54 ქულა).

◆ **დუშანბე, 19 აგვისტო.** პამირის კიდევ 3 უსახელო მწვერვალი დანებდა საბჭოთა მთამსვლელებს. ჩელიაბინსკელთა ჯგუფმა, რომელსაც სპორტის ოსტატი მ. ლევინი ხელმძღვანელობდა, ფედჩენკოს ყინვარის ზედა წელში განახორციელა ასვლა და დაიპყრო პიკი, რომლის სიმაღლეა 5960 მ. ურალელებმა ამ მწვერვალს მარშალ როკოსოვსკის სახელი უწოდეს. შემდეგ მთამსვლელები 6150-მეტრიან უსახელო მწვერვალზე ავიდნენ და მას მწერალ პაუსტოვსკის სახელი დაარქვეს. ყველაზე ძნელი ასვლა სპორტსმენებმა „დედამიწის სახურავის" დასავლეთ თხემზე განახორციელეს — 14 კაცი 6236 მეტრ სიმაღლეზე ავიდა. ამ პიკს უწოდეს კოსმოსური ხომალდმშენებლობის დარგში გამოჩენილი მეცნიერის კოროლიოვის სახელი.

◆ **ბრატისლავა, 19 აგვისტო.** ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის მოცურავეთა აქ გამართულ მატჩში 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ევროპის რეკორდი დაამყარა 18 წლის იუგოსლაველმა მირიანა შეგრტმა — 2.10,2. ამ გოგონამ 2,2 წამით გააუმჯობესა კ. მანდონის (საფრანგეთი) ძველი ევროპული რეკორდი. საინტერესოა, რომ შეგრტმა თავისი ქვეყნის რეკორდების ცხრილში წლეულს 11 შესწორება შეიტანა და აი, ახლა კონტინენტის რეკორდიც დაამხო.



ნიჭიერმა სოხუმელმა სამხტომელმა ვ. სანეევმა ბოლო ხანებში მეტად მაღალ სტაბილურ შედეგებს მიაღწია. მას ბადალი არ ჰყავდა ლენინაკანის საკავშირო ჩემპიონატშიც...

• • •

სურათზე: ვ. სანეევი ასპარეზობის დროს.

(შეჯიბრების ანგარიში იხ. მე-3 გვ.).

## ახალი ამბები

● **კოიერსპერდი, 17 აგვისტო.** გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ამ პატარა ქალაქში გამართული სპორტული დღესასწაულის დროს 30 წლის ვ. პფაილმა გდრ-ის რეკორდი გაიმეორა სიმაღლეზე ხტომაში — 216 სმ. ასეთივე შედეგს წლეულს ივნისში ი. კირსტმაც მიაღწია.

● **მოსკოვი, 18 აგვისტო.** მოსკოვის ტრადიციულ საერთაშორისო საჩოგბურთო ტურნირში 11 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. გამარჯვება მოიპოვეს საბჭოთა სპორტსმენებმა — მოსკოველმა ო. მოროზოვამ და ტალინელმა თ. ლეიუსმა. მოროზოვამ და მ. ჩუვირინამ ყველას აჯობეს ქალთა წყვილებში. ვ. ეგოროვმა და ა. ვოლკოვმა ვაჟთა წყვილებში დაისაკუთრეს პირველობა. შერეულ წყვილთა შეჯიბრებაში გაიმარჯვეს ავსტრალიელებმა ლ. ჰანტმა და ჯ. ალექსანდერმა.

● **ბრატსკი, 18 აგვისტო.** მსოფლიოს ექს-ჩემპიონი, დიდოსტატი მ. ბოტვინიკი თავის დაბადების დღეს აქ, 25 საჭადრაკო დაფასთან შეხვდა. საზოგადოება „სსრ კავშირი — ჰოლანდიის" მმართველობის თავმჯდომარე ბოტვინიკი, რომელსაც 57 წელი შეუსრულდა, ახლავს ჰოლანდიელ სტუმრებს — მსოფლიოს ექს-ჩემპიონს, დიდოსტატ მ. ეივეს და საერთაშორისო ოსტატს ვ. მიურინგს, რომლებიც ამ საზოგადოების მოწვევით მოგზაურობენ ჩვენს ქვეყანაში. ციმბირის ქალაქში ჰოლანდიელმა სტუმრებმაც ჩაატარეს ერთდროული თამაშის სეანსი. საინტერესო დამთხვევაა: იმავე დღეს მიურინგს 55 წელი შეუსრულდა.

● **ლოკანო, 18 აგვისტო.** იტალიის ამ ქალაქში დამთავრდა კალათბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი. გადამწყვეტ ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ იტალიური კლუბი „ორანსოდა კანტუ" და სსრ კავშირის ნაკრები. საბჭოთა სპორტსმენებმა ამ გუნდთან წაგების (59:69) რევანში აიღეს, გაიმარჯვეს ანგარიშით 68:49 და I ადგილიც დაისაკუთრეს.

MEXICO 1968

## ჩეხოსლოვაკიის ოლიმპიელები

**პრაღა, 17 აგვისტო.** ჩეხოსლოვაკიის ოლიმპიური გუნდის შემადგენლობაში ამჟამად სპორტის 12 სახეობის 124 წარმომადგენელი შედის. შეიძლება მათ შეუერთდნენ თანამედროვე ხუთჭიდის ოსტატებიც, რომელთა მონაწილეობა XIX ოლიმპიადაში ჯერ კიდევ არაა გადაწყვეტილი. ოლიმპიურ გუნდში მოხვედრის იმედი აქვთ კალათბურთელებსაც, რომლებიც მექსიკის საგზურებისთვის მანუგეშებელ ტურნირში ითამაშებენ (ეს ტურნირი თვით მექსიკაში ტარდება ოლიმპიადამდე იმ ეროვნული ნაკრები გუნდებისთვის, რომლებიც ფინალისტთა რიცხვში არ არიან).

დელეგაციაში ყველაზე ფართოდ წარმოდგენილია სპორტული თამაშები — 22 ფეხბურთელი, 24 ფრენბურთელი ვაჟი და ქალი.

ყოველ სახეობაში გუნდს, როგორც წესი, სახელიანი სპორტსმენები მეთაურობენ. მაგალითად, მძლეოსნებს ხელმძღვანელობენ ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, საშუალო მანძილებზე მორბენალი ი. ოდლოჟილი, მსოფლიო რეკორდსმენი ბადროს ტყორცნაში ლ. დანეკი, ევროპის ჩემპიონი 400 მეტრზე რბენაში ა. ხმელკოვა. ტანვარჯიშულ თანავარსკვლავედს ამშვენებს ოლიმპიური თამაშებისა და მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი ვ. ჩასლავსკა.

მექსიკის ტრასებზე გუნდს „ბორბლებით" შეიყვანს ოლიმპიური ჩემპიონი გამოდევნებით ინდივიდუალურ რბოლაში ი. დალერი. ძალოსნებს მეთაურობს ოლიმპიური ჩემპიონი, საშუალო წონის ძალოსანი ჰ. ზდრაჟილა, მოკრივეებს — ევროპის ჩემპიონი მეორე ქვესაშუალო წონაში ბ. ნემეჩეკი.

ტოკიოს ოლიმპიადაში ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის „მოსავალი" ასეთი იყო: ოქროს 5, ვერცხლის 6 და ბრინჯაოს 3 მედალი. არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში ჩეხოსლოვაკიელებმა 94 ქვეყანას შორის X ადგილი დაიკავეს.

# მეხიკოს სიგნალები

**მეხიკო, 19 აგვისტო.** XIX ოლიმპიადის დედაქალაქიდან ყოველდღე ახალი საინტერესო ცნობები მოდის.

### გრძელდება განაცხადების მიღება

XIX ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტმა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან შეთანხმებით განაცხადების მიღების ვადა გააგრძელა კიდევ 10 დღით — 26 აგვისტომდე. ამრიგად, საორგანიზაციო კომიტეტს ოლიმპიადაში მონაწილე ქვეყნების რიცხვის გაზრდის იმედი აქვს. თუმცა ეს ციფრი უკვე ახლაა სარეკორდო — განაცხადი გამოგზავნა 112 ქვეყანამ, ტოკიოს ოლიმპიადაში კი მონაწილეობა მიიღეს მხოლოდ 94 ქვეყნის წარმომადგენლებმა.

### აღორძინებენ ძველ ტრადიციას

მეხიკოს ოლიმპიადაში გამარჯვებულნი მედლებთან ერთად სხვა ჯილდოებსაც მიიღებენ.

ერთ-ერთი ჯილდო ძველი ოლიმპიადების ტრადიციის გამომხატველია. ესაა ზეთისხილის გვირგვინი. 3000 წლის წინანდელი ადათის აღორძინების იდეა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს ეკუთვნის. მექსიკის საორგანიზაციო კომიტეტი ჯერჯერობით ორჭოფობს. იქნებ იგი დათანხმდეს ამ სიახლეს, მაგრამ შესაძლოა შემოიფარგლოს ძველებური გვირგვინების მინიატურული ასლის გადაცემით, რომელიც ოლიმპიურ მედალთან ერთად სპეციალურ კოლოფში იქნება მოთავსებული. ასლს მიიღებს ყველა პრიზიორი. თუ სპორტსმენთა დაჯილდოება მოხდება ნამდვილი გვირგვინებით, ამ ჯილდოებს მხოლოდ ჩემპიონებს გადასცემენ.

სამახსოვრო ოლიმპიურ მედლებთან ერთად ორგანიზატორებს გადაწყვეტილი აქვთ დაამზადონ გვირგვინების მინიატურული გამოსახულება, რათა ოლიმპიადის პრიზიორებს მათი მკერდზე გაკეთება შეეძლოთ.

### მეხიკოში მოემგზავრებიან... თევზები

დიდი ჯაფა გასწიეს თამაშების ორგანიზატორებმა, სანიჩბოსნო ოლიმპიური არხი წყალმცენარეებისგან რომ გაეწმინდათ. მაგრამ ყველაფერი ამაო გამოდგა. დარჩა ერთადერთი გამოსავალი — გამოყენება ბალახის მჭამელი თევზებისა, რომლებსაც იაპონიაში აშენებენ. ეს თევზები წყალმცენარეებით იკვებებიან და დღეღამეში საშუალოდ საკუთარი წონის ერთ მესამედ საკვებს ნთქავენ. ერთი სიტყვით, ნაღდი „მწმენდავი მანქანები" არიან.

20 ათასი ასეთი თევზი უკვე გამოგზავნეს თვითმფრინავებით იაპონიიდან მეხიკოში. ამჟამად თევზების სიგრძე დაახლოებით 4 სანტიმეტრია, მაგრამ ისინი სწრაფად იზრდებიან და ორ თვეში 15 სანტიმეტრს მიაღწევენ.

### 1200 მზარეული და ყოველდღიურად 30.000 ულუფა

დიახ, მექსიკის საორგანიზაციო კომიტეტმა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოიწვია 1200 მზარეული, რომლებიც XIX ოლიმპიური თამაშების მონაწილეთ უნდა მოემსახურონ. ისინი ყოველდღიურად ექვს რესტორანში 30.000 ულუფა სხვადასხვა კერძს დაამზადებენ. ყოველ რესტორანში 729 მაგიდა და 3600 ადგილია. ესაა: „ლათინური" რესტორანი — იტალიელების, ესპანელებისა და პორტუგალიელებისთვის, „საქსონური" — ინგლისურ ენაზე მოლაპარაკე ქვეყნების წარმომადგენლებისთვის, „დასავლეთევროპული" — ფრანგების, შვეიცარიელების, ბელგიელების, ჰოლანდიელების, დანიელების, შვედებისა და ფინელებისთვის, „აღმოსავლეთევროპული" — გდრ-ის, სსრ კავშირის, პოლონეთის, რუმინეთის, იუგოსლავიის, ავსტრიისა და ჩეხოსლოვაკიის სპორტსმენებისთვის. მეხუთე რესტორანი განკუთვნილია აზიისა და აფრიკის ქვეყნების სპორტსმენებისთვის, ხოლო მეექვსე „ინტერნაციონალური" (შერეული სამზარეულო) იქნება.

ამჟამად მზარეულების თეთრ ქუდებში გამოწყობილთა არმია წვრთნას გადის, მაგრამ ნამდვილ მუშაობას იგი 12 სექტემბერს შეუდგება, როცა მეხიკოს ოლიმპიადის პირველი მონაწილენი ეწვევიან. ოთხმოცდაათნაირ კერძს შესთავაზებენ მზარეულები სპორტსმენებს საუზმის, სადილისა და ვახშმის დროს.

### ტანვარჯიშული კენჭისყრა

მექსიკის ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტმა ტანვარჯიშის საერთაშორისო ფედერაციისგან მიიღო ჯგუფების დაკომპლექტების თანმიმდევრობა. აი, ეს ჯგუფები კენჭისყრის შესაბამისად: ვაჟები. „ა" — შვეიცარია, მექსიკა, იტალია, პოლონეთი და პირად ჩათვლაში მოასპარეზენი, „ბ" — ეკვადორი, კანადა, უნგრეთი, კუბა, ჩეხოსლოვაკია და გდრ, „გ" — გფრ, ფინეთი, იუგოსლავია, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა და პირად ჩათვლაში მოასპარეზენი, „დ" — ტაივანი, სსრ კავშირი, იაპონია, ნორვეგია, ბულგარეთი და პირად ჩათვლაში მოასპარეზენი; ქალები. „ა" — პოლონეთი, ავსტრალია, მექსიკა, ესპანეთი, დიდი ბრიტანეთი და შვეცია, „ბ" — ბულგარეთი, გდრ, სსრ კავშირი და ჩეხოსლოვაკია, „გ" — აშშ, უნგრეთი, იაპონია და გფრ, „დ" — კანადა, იტალია, საფრანგეთი და პირად ჩათვლაში მოასპარეზენი. (საკდეპი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფედერაციის პლენუმზე

# ციფრებს იქით...

დიდი და გულახდილი საუბარი გაიმართა საქართველოს სსრ ფრენბურთის ფედერაციის პლენუმზე. რესპუბლიკის ფრენბურთის ფედერაციის თავყრილობაზე საანგარიშო მოხსენებით გამოვიდნენ ფედერაციის თავმჯდომარე კ. ლომინაძე, მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ნიკოლაიშვილი და მსაჯთა კოლეგიის თავმჯდომარე ე. სანთელაძე. მომხსენებლებმა დაწვრილებით გააანალიზეს ფედერაციის მუშაობა, შეკრებილთ მოახსენეს, რა ღონისძიებები ტარდებოდა ადგილებზე ფრენბურთის განვითარების მიზნით, ილაპარაკეს ნაკლოვანებებზე.

ჩვენმა ფრენბურთელებმა წარსულში არა ერთი მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს, მაგრამ უკვე რამდენიმე წელია პოზიციები დათმეს. ახლა რესპუბლიკის უძლიერესი კოლექტივები — „ბურევესტნიკის“ ქალთა და ვაჟთა გუნდები „ა“ კლასის მხოლოდ II ჯგუფში თამაშობენ. თუმცა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ წლეულს ჩვენი ფრენბურთელები ცუდად არ გამოდიან და აქვთ შანსი უმაღლეს ლიგაში დაბრუნებისა, — ითქვა პლენუმზე.

აღინიშნა, რომ თანრიგოსანთა მომზადების ციფრებს იქით იმალება უხარისხობა, რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში არ არის შექმნილი მუდმივმოქმედი გუნდები. თითქმის ასევეა სპორტსაზოგადოებებში. „ბურევესტნიკს“ ბევრ უმაღლეს სასწავლებელში არ ჰყავს გუნდები.

როცა რეზერვის სიმცირეზეა ლაპარაკი, მიზეზი უთუოდ ბავშვებთან სუსტ მუშაობაში უნდა ვეძიოთ. კარგა ხანია დადგა დრო, რომ გაიხსნას ფრენბურთის ბავშვთა სპეციალური სკოლა. მართალია, ახლა საქართველოში 184 ჯგუფია გახსნილი, მაგრამ ამ ჯგუფების უმრავლესობაში კვალიფიციური ფრენბურთელები არ იზრდებიან. ავიღოთ თუნდაც ასეთი მაგალითი: ქუთაისში თითქმის 10 წელია მუშაობს 10 მწვრთნელი, მაგრამ რესპუბლიკის ნაკრებისთვის ამ ქალაქს ერთი ფრენბურთელიც არ მიუცია. იგივე მდგომარეობაა რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონებშიც, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს ცოტად თუ ბევრად კვალიფიციურ ცვლას მხოლოდ თბილისის განათლების განყოფილების სპორტსკოლა უზრდის. ზემოაღნიშნული ნაკლოვანებათა ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისიც გახლავთ, რომ რესპუბლიკაში მომუშავე მწვრთნელთა 60 პროცენტს უაღრესად დაბალი კვალიფიკაცია აქვს.

მოხსენებების შემდეგ გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ი. ბოჭორიძემ („განთიადის“ ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე), ა. კორინთელმა („სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე), გ. ხაჩიძემ (გორის პედინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგე), გ. კირვალიძემ („შრომითი რეზერვების“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე), ვ. გუსევმა (ბათუმის ბავშვთა სპორტსკოლის მწვრთნელი), დ. ფავლენიშვილმა (თბილისის განათლების განყოფილების ბავშვთა სპორტსკოლის დირექტორი), ნ. მატიაშმა („კოლმეურნის“ აფხაზეთის საოლქო საბჭოს საზოგადოებრივი მწვრთნელი) და გ. ხოშტარიამ („კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს სასწავლო-სპორტული განყოფილების გამგე).

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს სპორტკავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე.

პლენუმის მონაწილეებმა მიიღეს დადგენილება, რომელშიც დასახულია ფრენბურთის განვითარების კონკრეტული გზები ჩვენში.

• • •

გაიმართა ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები. ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ კვლავ აირჩიეს წარსულში ცნობილი ფრენბურთელი კ. ლომინაძე, პასუხისმგებელ მდივნად — ე. სანთელაძე. მწვრთნელთა საბჭოს კვლავინდებურად ი. ნიკოლაიშვილი უხელმძღვანელებს.



# შრომის ნაყოფი

სოფელ რუისპირის კოლმეურნეობა „ყურძენ-თავთავი“ კანონიერად ამაყობს კარგი ფიზკულტურული კოლექტივით.

ს. ხანქალიაშვილმა ბევრი ოფლი ღვარა ფეხბურთის მწვანე მინდორზე, ვიდრე მეორეთანრიგოსანი გახდებოდა. ახლა იგი საზოგადოებრივი მწვრთნელია და დიდ დახმარებას უწევს ფიზკულტურის ინსტრუქტორს ე. ძამუკაშვილს. ამ ორმა ბევრი კარგი ფეხბურთელი აღზარდა. მაგალითად, გ. და ნ. ბურდულები, ო. თვალიაშვილი „ბ“ კლასის გუნდში („კახეთი“) თამაშობენ, გ. და მ. კობაიძეები, მ. სისაური, ვ. ბურდული ოსტატთა მოსამზადებელ ჯგუფებში არიან. კოლმეურნეობის ფეხბურთელთა გუნდი რაიონის ჩემპიონია სოფლის კოლექტივებს შორის.

კოლმეურნეობასთან ახლოს წყალსაცავია და ფიზკულტურელებმა ისიც გამოიყენეს. შარშან აქ ჩატარდა რაიონში პირველი ზეიმი წყალზე. ყველაფერი ისე იყო, როგორც ნამდვილი შეჯიბრების დროს: ბილიკები, ჯილდოები და, რა თქმა უნდა, გულშემატკივრები. ასპარეზობაში 100 კაცი მონაწილეობდა. კოლმეურნეობის პირველი ჩემპიონები გახდნენ გ. ნაცარაშვილი და ნ. ბურდული. ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის მათ მწვრთნელს ე. ძამუკაშვილს.

კოლმეურნეობაში შექმნილია ქართული ჭიდაობის ჯგუფი, რომლის პირველი მოთავე კომორგი გ. პაპუნაშვილია. კოლმეურნეები ვ. თაგაური და ა. ბახსოლიანი უკვე თანრიგოსნები არიან.

ველოსიპედისტებმა „კოლმეურნის“ რაიონულ პირველობაში ჩემპიონობა გაინაღდეს, თუმცა მათი ლიდერი, პირველთანრიგოსანი ტ. ნაციაშვილი გუნდში არ იყო. ამ გამარჯვებაში წვლილი მიუძღვით ტრაქტორისტებს, მეორეთანრიგოსნებს ი. მორბედაძეს და ს. ლოკაფიშვილს.

კოლმეურნეობაში მუშაობს მძლეოსნობის, კალათბურთის, ფრენბურთის, შაშის, ჭადრაკის, ნადირობისა და თევზაობის სექციები. ამიტომ გასაკვირიც არაა, რომ კოლმეურნეობის 800 წევრიდან ყოველი მესამე ფიზკულტურელია. შარშან კოლექტივში მომზადდა 28 მესამეთანრიგოსანი, 12 მსაჯი და 23 საზოგადოებრივი ინსტრუქტორი. კოლმეურნეობაში ხშირად ტარდება საინტერესო შეჯიბრებები.

მაგრამ რუისპირელები მარტო სპორტული მიღწევებით როდი გამოირჩევიან. შარშანდელი წლის შედეგებით კოლმეურნეობის მეცხოველეები რაიონში საუკეთესოებად არიან აღიარებული. ამ შრომით გამარჯვებაში წვლილი შეიტანეს სპორტსმენებმაც: ფეხბურთელმა გ. ძამუკაშვილმა, ძალოსანმა ა. პაპუნაშვილმა, ფრენბურთელმა დ. ბახსოლიანმა, მძლეოსანმა ე. კაპანაძემ.

დასასრულ უნდა დავსძინოთ ერთი: დასანანია, რომ კვირაში ოთხჯერ ვარჯიშის საშუალება მხოლოდ ფეხბურთელებს აქვთ. სხვა სახეობების წარმომადგენლებს კვირაში მხოლოდ ორჯერ შეუძლიათ ვარჯიში. კოლმეურნეობას დარბაზი არა აქვს და ზამთრობით მეცადინეობა წყდება. გაჭიანურდა ფეხბურთის ახალი მინდვრის მოწყობაც.

ვ. ბუკია.
(ჩვენი სპეც. კორ.).

რუისპირი,
თელავის რაიონი.

* * *

სურათზე: ე. ძამუკაშვილი კოლმეურნეობის მოცურავეებთან.
ფოტო ავტორისა.

# ქალების მარცხი ვაჟებმა გამოასწორეს

გომელი, 19 აგვისტო (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). გაიმართა „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩები ხელბურთში.

IV და V ტურები თბილისის ქალთა გუნდისთვის უიღბლო გამოდგა: მანამდე წაუგებლად მოთამაშე ჩვენმა ქალებმა ზედიზედ ორი მარცხი იწვნიეს: ჯერ ბელორუსიელებთან (11:15) შეხვედრაში, მერე კი ჩერკასის გუნდთან — 10:11.

სამაგიეროდ, ზედიზედ ორი გამარჯვება იზეიმეს ჩვენმა ვაჟებმა: მათ ჯერ კრასნოდარის გუნდი დაამარცხეს (23:18), ხოლო შემდეგ — ბაქოელები — 28:20.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: ქალები. IV ტური. ფრუნზე — ტაშკენტი 3:10, ჩერკასი — ლენინგრადი 15:7, სვერდლოვსკი — კიევი 8:7; V ტური. სვერდლოვსკი — კრასნოიარსკი 14:17, ერევანი — მოსკოვი 11:22, ლენინგრადი — ფრუნზე 7:11, მინსკი — ტაშკენტი 17:5. ვაჟები. IV ტური. ლენინგრადი — მოსკოვი 15:36, მინსკი — ფრუნზე 30:24, ტაშკენტი — ერევანი 28:12, ბაქო — ტაგანროგი 20:11; V ტური. კრასნოდარი — ერევანი 24:19, ტაშკენტი — ტაგანროგი 21:12, ფრუნზე — ზაპოროჟიე 15:31, მინსკი — ლენინგრადი 30:16.

ჯ. აბაიშვილი,
სპორტის ოსტატი.

ხელბურთი

### ✦ წითელწყარო

რაიონის პირველობა მაგიდის ჩოგბურთში, რომელშიც 25 სპორტსმენი მონაწილეობდა, ფიზკულტურელის საკავშირო დღეს მიეძღვნა. ფინალში უძლიერესის სახელი მოიპოვა ადგილობრივი მრეწველობის სამკერვალო საამქროს უფროსმა პ. ლორაშვილმა. II ადგილი ხვდა ი. ნატროშვილს (წითელწყაროს ქართული საშუალო სკოლა), III — შარშანდელ ჩემპიონს გ. მენთეშაშვილს („სოფლმშენი“). ქალთა შეჯიბრებაში ჩემპიონი გახდა ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრი ტ. მათიაშვილი.

გ. ყოჩიაშვილი,
რაიონის სპორტკავშირის თავმჯდომარე.

### ✦ ზუგდიდი

დოსაფის საქალაქო კომიტეტმა ჯვარზენში ჩაატარა სარაიონთაშორისო შეჯიბრება მანქანის ფიგურულ მართვაში. ასპარეზობდნენ ქ. ზუგდიდის, ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონების, აგრეთვე, ენგურჰესის მშენებლობის წარმომადგენლები. გუნდური გამარჯვება წილად ხვდა ზუგდიდის ავტომოტოკლუბის ნაკრებს. პირად ჩათვლაში ყველას აჯობა ამავე კლუბის წარმომადგენელმა ა. იობაშვილმა.

ბ. ალშიბაია.

# დაწინაურდა სტუმარი

თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დაიწყო საქართველოს პირველობა ასუჯრიან შაშში. ტურნირში თბილისის, ბათუმის, სოხუმის, ცხინვალის, ფოთის, კასპისა და თელავის 13 მოშაშე მონაწილეობს. უკონკურსოდ გამოდის აზერბაიჯანის ჩემპიონი, ოსტატი ა. ბაბაიანი.

3 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ: ბაბაიანი — 3 ქულა, ს. თომაშვილი (თბილისი) — 2,5, ი. ბესტაევი (ცხინვალი) — 2, კ. ივაშენკო (სოხუმი) — 2, ვ. კანდელაკი (კასპი) — 1 (2).

ჩატარებული პარტიებიდან აღსანიშნავია ბაბაიანისა და თბილისელი ოსტატის ს. პახლაჯიანის შეხვედრა. უკანასკნელმა მოსაგები პოზიცია მიიღო, მაგრამ ცაიტნოტში პარტია წააგო. ბაბაიანმა მოუგო ვ. ბახტაძეს (თბილისი) და ივაშენკოსაც. პირველთანრიგოსანმა თომაშვილმა დაამარცხა თბილისელი ოსტატობის კანდიდატი გ. მინასიანი და ა. დურნიკოვი (ბათუმი), ვ. ხარებოვს (ცხინვალი) კი ყაიმზე შეუთანხმდა.

პ. სერგიაშვილი.

შაში

# ერთ-ერთი პირველი

საქართველოში პროფტექგანათლების სისტემის ერთ-ერთი პირველი სასწავლებელი თბილისის ახლანდელი № 6 სასწავლებელია. მისი კარი მოსწავლეთა პირველი ნაკადისთვის სამამულო ომის დაწყებამდე გაიღო და ომის პერიოდში აქ 750 მაღალკვალიფიციური მუშა აღიზარდა. დღემდე ამ სასწავლებელმა ჩვენს ქვეყანას მისცა 5280 ხარატი, მღარავი, ავტოშემკეთებელი ზეინკალი და სხვა პროფესიების სპეციალისტი, რომელთაგან ახლა ბევრი შრომის მოწინავეა. მაგალითისთვის დავასახელებთ სოციალისტური შრომის გმირს შ. ფირცხალავას, საბჭოთა კავშირის გმირს ნ. პშენიჩნაკოვს, ლენინის ორდენოსან ზ. ველუკაშვილს...

სასწავლებლის 58 მასწავლებლიდან და საწარმოო სწავლების ოსტატიდან 38 უმაღლესი განათლებითაა, მათი ხელმძღვანელობით მოსწავლეები ბევრი საინტერესო შემოქმედებითი ნამუშევრის ავტორები და საკავშირო სახალხო-სამეურნეო გამოფენის მონაწილენი არიან, ჯილდოც ბევრი დაუმსახურებიათ.

არც სპორტში ჩამოუვარდებიან ვინმეს. სასწავლებლის ფიზკულტურულ კოლექტივში მუდამ გადაჭარბებით სრულდება ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმები, ნაყოფიერად მუშაობენ სექციები, ჯგუფები, აქაურები წარმატებით მონაწილეობენ ტურნირებში.

საბჭოთა მთავრობამ სათანადოდ დააფასა ამ კოლექტივის მიღწევები 27 წლის მანძილზე: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 12 ივლისის ბრძანებულებით თბილისის № 6 პროფტექნიკური განათლების სასწავლებელი შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოვდა.

მ. წუაროველი.

# თბილისის... რესპუბლიკური ჩემპიონატი

✦

### დასაშვებია თუ არა ასეთი ტურნირი?

✦

იუნიორ და ჭაბუკ ველოსიპედისტთა რესპუბლიკური ტურნირი — ასეთი ფორმალური სახელი ერქვა შეჯიბრებას, რომელიც ამ დღეებში თბილისის ტრეკზე გაიმართა. რატომ ფორმალური? — იკითხავს ალბათ გაკვირვებული მკითხველი.

საქმე ის გახლავთ, რომ აღნიშნული ასპარეზობა წყლის ორი წვეთივით ჰგავდა მის წინამორბედს — თბილისის საქალაქო პირად-გუნდურ პირველობას. იგივე გუნდები, იგივე სპორტსმენები, იგივე მწვრთნელები, წარმომადგენლები, მსაჯები... შეიცვალა მხოლოდ შეჯიბრების ორგანიზატორი — ეს იყო და ეს.

საკითხავია, რატომ უნდა ერქვას ტურნირს რესპუბლიკური, თუ მასში მხოლოდ თბილისის სპორტული ორგანიზაციები მონაწილეობენ (ამასთან, ნუ დაივიწყებთ, რომ სრული გუნდები მხოლოდ „დინამომ“ და „ბურევესტნიკმა“ წარმოადგინეს)? ნუთუ ქუთაისიდან, ბათუმიდან, სოხუმიდან, ზუგდიდიდან, ცხინვალიდან, რუსთავიდან, ფოთიდან, გორიდან, ხაშურიდან და რესპუბლიკის სხვა ქალაქებიდან, სადაც ველოსპორტი ასე თუ ისე განვითარებულია, არც ერთ სპორტსმენს არ შეეძლო ჩამოსვლა?

ფაქტი, როგორც იტყვიან, კომენტარს არ საჭიროებს.

ი. იუნაევი.

• • •

მოგვყავს გამარჯვებულთა ტექნიკური შედეგები:

გოგონები. სპრინტი. 1. ი. სუხარევა („დინამო“); 500 მ ადგილიდან. 1. ლ. გრიგორი („დინამო“) — 43,3; წყვილთა რბოლა 2 კმ-ზე. 1. სუხარევა — გრიგორი — 3.00,6.

ჭაბუკები. სპრინტი. 1. გ. ქადაგიშვილი („შრომითი რეზერვები“); 500 მ ადგილიდან. 1. ქადაგიშვილი — 35,9; გამოდევნებით რბოლა 3 კმ-ზე. 1. ი. ტერეშჩენკო („ბურევესტნიკი“) — 4.02,1; გამოდევნებით გუნდური რბოლა 3 კმ-ზე. 1. „ბურევესტნიკი“ — 4.00,1; 1000 მ ადგილიდან. ვ. საზონოვი („დინამო“) — 1.19,2.

იუნიორები. სპრინტი. 1. ვ. ჯაგაევი (ასყ); 1000 მ ადგილიდან. 1. ჯაგაევი — 1.13,6; გამოდევნებით 4 კმ-ზე რბოლა. 1. ჯაგაევი — 5.12,6.

გუნდური ადგილები. 1. „დინამო“, 2. „ბურევესტნიკი“, 3. „შრომითი რეზერვები“.

# აგარელთა წარმატება

ხაშურში ტარდება „განთიადის“ ზონალური სპარტაკიადა, მიძღვნილი კომკავშირის 50 წლისთავისადმი.

საინტერესოდ მიმდინარეობდა ფეხბურთელთა შეჯიბრება, სადაც გამარჯვება წილად ხვდა აგარის შაქრის კომბინატის გუნდს.

ზ. მოსეშვილი.
(ჩვენი კორ.).

ხაშური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოქროს მედალი და... საზამთრო



სპრინტში ქვეყნის სარეკორდო შედეგებით თავი გამოიჩინა ლ. სამოტიოსოვამ (ბრიანსკი). 100 მეტრზე რბენაში მან მსოფლიო რეკორდი (11,1) გაიმეორა, 200 მ კი 23 წამში დაფარა.

ს უ რ ა თ ზ ე: ლ. სამოტიოსოვა.

ლენინაკანი, 18 აგვისტო (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). მძლეოსანთა საკავშირო ჩემპიონატის აქაური ეტაპის ბოლო დღეს სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა 26 წლის მოსკოველმა სტუდენტმა ა. ოკოროკოვამ. იგი 183 სანტიმეტრზე გადახტა — 1 სანტიმეტრით გააუმჯობესა თავისივე მიღწევა. ოკოროკოვას შედეგი წლევანდელ სეზონში ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში.

სსრ კავშირის ახალი უმაღლესი მიღწევა მოიპოვა 26 წლის ესტონელმა სპორტსმენმა, ტოკიოს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა რ. აუნმა. ლენინაკანში, რომელიც ზღვის დონიდან 1556 მეტრზე მდებარეობს, მან ათჭიდში 8026 ქულა დააგროვა, რაც 47 ქულით მეტია ადრინდელ მიღწევაზე. მისი შედეგები ცალკეულ სახეობებში ასეთია: 100 მ — 10,5, სიგრძე — 707 სმ, ბირთვი — 14,98 მ, სიმაღლე — 183 სმ, 400 მ — 49,4, 110 მეტრზე თარჯრბენი — 15,2, ბადროს ტყორცნა — 47,52 მ, ჭოკით ხტომა — 430 სმ, შუბის ტყორცნა — 68,40 მ, 1500 მ — 4.38,6.

ექვსეულში შევიდნენ აგრეთვე: 2. ი. ლაპკა (რიგა) — 7972 ქულა, 3. ნ. ავილოვი (ოდესა) — 7905, 4. პ. პაალო (ტალინი) — 7814, 5. ს. შჩელკოვი (მოსკოვის ოლქი) — 7651, 6. ი. ლემბერი (ტალინი) — 7449.

200 მეტრზე ნახევარფინალურ გარბენში ლ. სამოტიოსოვამ 23 წამი აჩვენა და ერთბაშად სამი მეათედი წამი მოაკლო თავის ადრინდელ საკავშირო მიღწევას. ბრიანსკელი სპორტსმენის მიღწევა მსოფლიოში წლევანდელი სეზონის საუკეთესო შედეგის გამეორებაა.

მეორე ნახევარფინალში ქვეყნის ადრინდელი რეკორდი გააუქმა ჩელიაბინსკელმა ვ. პოპკოვამაც — 23,1. გოგონათა საკავშირო რეკორდი დაამყარა 15 წლის ლ. ჟარკოვამ — 23,7. ფინალში სამოტიოსოვამ დამაჯერებლად მოიგო ოქროს მედალი — 23,2.

200 მეტრზე მორბენალ ვაჟებში ერთბაშად ორმა გააუქმა საკავშირო რეკორდი — ნ. ივანოვმა (მოსკოვის ოლქი) და ვ. საპეიამ (გომელი). ახლა ამ დისტანციაზე სსრ კავშირის უმაღლესი მიღწევა 20,5 წამია.

ი. ტერ-ოვანესიანი 828 სანტიმეტრზე გადახტა, ლუგანსკელმა ვ. სკომოროხოვმა 400 მეტრზე თარჯრბენში 50,4 აჩვენა, მოსკოველმა ლ. მურავიოვამ ბადრო 57,66 მეტრზე ტყორცნა.

400 მეტრზე მორბენალ ქალებში ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა სარატოველმა ნ. ბურდამ — 53,5.

საკავშირო რეკორდთან ახლოს იყო ჭოკით მხტომელი გ. ბლიზნეცოვიც (ხარკოვი). მეორე ცდა 523 სანტიმეტრზე ძალიან პერსპექტიული იყო, მაგრამ სპორტსმენს ქარი უშლიდა ხელს. „არა უშავს, ძველ რეკორდს (520 სმ) დიდი დღე არ უწერია“, — ამბობდა ბლიზნეცოვი, რომელმაც 512 სანტიმეტრით ქვეყნის ჩემპიონობა მოიპოვა.

... სამხტომელებს ბედი არ სწყალობდათ. შეჯიბრების დროს კოკისპირული წვიმა წამოვიდა, მაგრამ წესი, წესია და ასპარეზობის შეწყვეტაც არ შეიძლებოდა. ჩინებული საბრძოლო თვისებები გამოავლინა სოხუმელმა ვ. სანეევმა. მან თითქოს გადაწყვიტა თავისი სახელი გაემართლებინა: ვიქტორი — „გამარჯვება“. პირველ ცდაზე სანეევმა 16,40 მეტრით ხელთ იგდო ლიდერობა. მაგრამ ქვეყნის რეკორდსმენი, მოსკოველი ა. ზოლოტარიოვი გამარჯვების დათმობას იოლად არ აპირებდა: ლიდერს იგი 7 სანტიმეტრით ჩამორჩებოდა.

და აი, მესამე, ოქროს ცდა. მძლავრი არეკნი, ლამაზი ნახტომები და მსაჯებმა ტაბლოზე აღნიშნეს: 16,48 მ. საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე სანეევთან ერთად იდგა მისი მწვრთნელი ა. კერსელიანიც. გარდა ოქროს დიდი მედლისა, ვიქტორმა მიიღო ადგილობრივი გულშემატკივრების სპეციალური პრიზიც... საზამთრო. საზამთროც ჭეშმარიტად ჩემპიონური იყო — ხელში ძლივს ეჭირათ. ვიქტორი ხუმრობდა: მარტო ასეთი პრიზისთვის ღირდა ჩემპიონობაო.

მაშ ასე, მეხიკოს გზა ვიქტორს და ლ. იევლევას ხსნილი აქვთ. გ. გუდაშვილმა კი ერთხელ კიდევ უნდა სცადოს ბედი. ქვეყნის ჩემპიონატში საკვალიფიკაციო შეჯიბრების შემდეგ იგი ლიდერი იყო (55,60), ფინალში კი ცუდად წაუვიდა საქმე: 6 სმ წააგო მეორე პრიზიორთან, ვილნიუსელ ვ. იარასთან. გუდაშვილის შედეგია 58,42 მ და III ადგილი. ჩემპიონობა მოიპოვა ლენინგრადელმა ვ. სვეტაილომ — 58,74 მ.

როგორ გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის სხვა წარმომადგენლები? მ. ოყროშიძემ IV ადგილი დაიკავა ბირთვის კვრაში — 17,40, ვარდო ქუთათელაძემ 200 მეტრის გარბენას 24,2 წამი მოანდომა (VI ადგილი) და სულ მეათედი წამით ჩამორჩა ნ. დვალიშვილის რესპუბლიკურ რეკორდს. 400 მეტრზე თარჯრბენში 51,6 წამი აჩვენა ქუთაისელმა ი. კოზელსკიმ. ტ. ბახტაძე და ა. ანდრეევი „ლოკომოტივის“ ნაკრები გუნდის სახელით გამოდიოდნენ ესტაფეტაში 4×400 მეტრზე და IV ადგილი დაიკავეს. ათჭიდელი ი. დიაჩკოვი შეჯიბრებას გამოეთიშა ტრავმის გამო.

რამდენიმე სიტყვა მსაჯებზეც. მსაჯთა ბრიგადების შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა ბრიგადამ, რომელსაც მთავარი მსაჯის მოადგილე ლ. გიორგაძე ხელმძღვანელობდა. მადლობა დაიმსახურეს სხვა თბილისელმა მსაჯებმაც: ა. სტეპანოვმა, ჰ. ათაბეგოვმა, ნ. თვაურმა, გ. გევონდოვმა, ნ. ლობჟანიძემ.

მაშ ასე, სსრ კავშირის მძლეოსანთა წინაოლიმპიური ჩემპიონატის ლენინაკანის ეტაპი დამთავრდა. მან მოგვიტანა 6 საკავშირო რეკორდი, ერთი ევროპის რეკორდის და ერთიც მსოფლიო რეკორდის გამეორება. ამას უნდა დავუმატოთ იუნიორთა უმაღლესი მიღწევები. შეიძლება ითქვას, არნახული მოსავალია და ამ გამარჯვებაში ყველაზე დიდი წვლილი მიუძღვით მოკლე მანძილებზე მორბენლებს, რომლებიც ბოლო წლებში ჩამორჩებოდნენ. ახლა ჩვენ უკვე შეგვიძლია ვიქონიოთ მეხიკოში წარმატების იმედი.

ჩემპიონატი გაგრძელდება ერევნის ახლოს, სადაც იასპარეზებენ საშუალო და გრძელ მანძილებზე მორბენლები, 3000 მეტრზე წინაღობებით რბენის ოსტატები. ეს შეჯიბრება 20-22 აგვისტოს ჩატარდება.

ვ. ბუკინი.

... აპარატის „ობიექტივი“ მუდამ ერთ წერტილზეა დამიზნებული. ეს წერტილი ფინიშია, აპარატი კი ურთულესი თანამედროვე ხელსაწყო, რომელიც წამის მეასედებისა და მეათასედების სიზუსტით აღბეჭდავს სპორტული ბრძოლის ყველაზე სადაო მომენტებს. ლენინაკანის მძლეოსანთა საკავშირო ჩემპიონატში ამ „ჭკვიანმა მანქანამ“ ბევრი სპორტსმენი გააზავა, მათ შორის, თარჯრბენში ოქროს მედლის მთავარი პრეტენდენტები — მოსკოველი ტ. ტალიშევა და თბილისელი ლ. იევლევა. სწორედ ამ აპარატის გამჭრიახ თვალს უნდა უმადლოდეს ტალიშევა თავის ოქროს მედალს.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ახლახან დამთავრებული რბენის ფოტოფინიშის ფირს ათვალიერებენ შეჯიბრების მთავარი მსაჯი ვ. გარბერი (მარჯვნივ) და მისი მოადგილეები. მარცხნივ — საკავშირო კატეგორიის მსაჯი ლ. გიორგაძე.





ს უ რ ა თ ზ ე: შუბის ტყორცნაში გამარჯვებული ი. ლუსისი (რიგა).



საბოლოოდ ჩამოსცილდა თუ არა სარბიელს „სიმაღლის მეფე“, „კოსმოსური მხტომელი“ ვ. ბრუმელი? ამ შეკითხვაზე პასუხის გასაცემად დღეს გულმოდგინედ მუშაობენ ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ტრავმატოლოგები. ბრუმელის მორიგი ოპერაციაც ცნობილი მძლეოსნის მკურნალობის ერთ-ერთი ეტაპია.

მეხიკოში სახელოვანი რეკორდსმენის საქმეთა გაგრძელება მის რომელიმე ღირსეულ მემკვიდრეს დაევალება. ლენინაკანის ჩემპიონატში ეს უფლება მოსკოველმა სტუდენტმა ვ. სკვორცოვმა მოიპოვა, რომელსაც პირადი რეკორდის (220 სმ) გაუმჯობესებას სულ ცოტა დააკლდა. თუმცა, იქნებ, 218 სმ, რამაც მოსკოველს პირველობა მოუტანა ლენინაკანში, მეხიკოშიც საკმარისი გამოდგეს ოქროს მედლის მოსაპოვებლად.

ს უ რ ა თ ზ ე: ვ. სკვორცოვი ხტომისას.

## მხოლოდ ოფიციალური შედეგები

### სიმაღლეზე ხტომა (ქალები)

1. ა. ოკოროკოვა (მოსკოვი) — 183 სმ (სსრ კავშირის ახალი რეკორდი);
2. ვ. კოზირი (კიევი) — 180 (სსრ კავშირის გოგონათა და იუნიორთა რეკორდი);
3. ვ. გრუშკინა (ლენინგრადი) — 178;
4. ვ. ანდრეევა (ლენინგრადი) — 172;
5. გ. კოსტენკო (მოსკოვი) — 172;
6. ტ. ჩენჩიკი (მოსკოვი) — 172.

### სამხტომი

1. ვ. სანეევი (სოხუმი) — 16,48 მ;
2. ა. ზოლოტარიოვი (მოსკოვის ოლქი) — 16,37;
3. ა. კაინოვი (ლენინგრადი) — 16,31;
4. ნ. დუდკინი (მოსკოვი) — 16,20;
5. ი. ტარასიუკი (მინსკი) — 16,04;
6. ა. ბოიკო (დონეცკი) — 15,87.

### ბირთვი (ქალები)

1. ნ. ჩიჟოვა (ლენინგრადი) — 17,90 მ;
2. ი. სოლონცოვა (მოსკოვი) — 16,84;
3. გ. ზიბინა (ლენინგრადი) — 16,10;
4. გ. სედელნიკოვა (გორკი) — 16,08;
5. ნ. კანდელო (ტაშკენტი) — 15,00;
6. გ. ნეკრასოვა (მოსკოვი) — 14,84.

### ესტაფეტები

#### 4×100 მ — ვაჟები

1. შეიარაღებული ძალები (ე. ოზოლინი, ვ. მასლაკოვი, ნ. ივანოვი, ლ. მიკიშევი) — 39,6;
2. „დინამო“-I — 40,0;
3. „ბურევესტნიკი“-I — 40,6;

#### 4×100 მ — ქალები

1. „ბურევესტნიკი“-I (ლ. ტკაჩენკო, ნ. ბურდა, ნ. რომანოვა, ვ. პოპკოვა) — 44,9;
2. „დინამო“ — 45,2;
3. „ტრუდი“ — 45,3.

#### 4×400 მ

1. „ბურევესტნიკი“-I (ა. ივანოვი, დ. ალექსეევი, ი. ზორინი, ა. ბრატჩიკოვი) — 3.07,6;
2. შეიარაღებული ძალები-I — 3.08,8.
3. შეიარაღებული ძალები-II — 3.10,2.

### სიგრძეზე ხტომა (ქალები)

1. ტ. ტალიშევა (მოსკოვი) — 654 სმ;
2. ხ. რინგა (რიგა) — 646;
3. ნ. კროიტერი (ჩელიაბინსკი) — 635;
4. გ. მოროსანოვა (მოსკოვი) — 631;
5. კ. კუზმინა (ულიანოვსკი) — 626;
6. ტ. ტიმოხოვა (მოსკოვი) — 619.

### უროს ტყორცნა

1. რ. კლიმი (მინსკი) — 72,72 მ;
2. გ. კონდრაშოვი (კრასნოდარი) — 69,76;
3. ა. შჩუპლიაკოვი (გომელი) — 68,90;
4. ა. ბალტოვსკი (მინსკი) — 68,32;
5. ა. ბონდარჩუკი (როვნო) — 67,82;
6. ი. ნიკულინი (ლენინგრადი) — 67,26.

ფოტოსურათები ჩვენი სპეციალური კორესპონდენტის მ. ზარზარიანისა.



იყო დრო, როცა 100 მეტრზე რბენაში 10,2 წამი განუმეორებელ მაჩვენებლად მიაჩნდათ. თითქმის ორი ათეული წელი დასჭირდა ამ შედეგისთვის 0,1 წამის ჩამოჭრას და როცა წამმზომმა ბოლოსდაბოლოს აღნიშნა 10,1, ბევრ სკეპტიკოსს ეგონა, ადამიანმა თავისი შესაძლებლობის ზღვარს მიაღწიაო. მაგრამ რაც დრო გადის, უფრო ცხადი ხდება, რომ დღევანდელ მსოფლიო რეკორდსაც (9,9) არ უწერია დიდი დღე. ყოველ შემთხვევაში, სსრ კავშირის ჩემპიონი ვ. საპეია (სურათზე), როგორც ჩანს, თანამემამულეთაგან პირველი შეუერთდება უსწრაფესი ამერიკელი სპრინტერების რიგებს.

## სსრ კავშირის პირველობა

# ბარათები, გოლები, პენალტები

ჩემპიონი და ვიცე-ჩემპიონი! ასეთი „უმაღლესი დონის" მატჩით დაიწყო საკავშირო პირველობის მორიგი ტური 18 აგვისტოს. კიევისა და მოსკოვის დინამოელთა ეს შეხვედრა იმითაც იყო საინტერესო, რომ ორივე გუნდს სულ მალე თამაშები მოუწევთ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე და თასების მფლობელთა თასზე და აქ მოწმდებოდა მათი მზადყოფნა.

შეხვედრა მოიგეს მოსკოველებმა — 1:0. ეს ერთადერთი გოლი 85-ე წუთზე თავით გაიტანა მცველმა დოლბონოსოვმა.

ჩვენ უკვე ვწერდით იმის თაობაზე, რომ ცსკა-სა და მინსკის „დინამოს" შეხვედრაში მოხდა უპრეცედენტო ამბავი: ორივე გუნდის მოთამაშეები მთელი მატჩის განმავლობაში დაუფარავად უხეშობდნენ, სისტემატურად არღვევდნენ თამაშის ელემენტარულ წესებს და ერევნელი მსაჯი მ. ამბარცუმიანი იძულებული იყო მინდვრიდან გაეძევებინა ერთბაშად 4 ფეხბურთელი — მინსკელები არზამასცევი და გირკო, მოსკოველები ფედოტოვი და დუდარენკო.

ეს საგანგაშო შემთხვევაა. სტატისტიკის მოყვარულთ შევახსენებთ, რომ პირველი გაძევება მინდვრიდან მოხდა 17 აპრილს (ჩემპიონატი დაიწყო 1 აპრილს) მინსკის მინდორზე. მაშინ წესი დაარღვია „კაირატის" მცველმა ფედოტოვმა და არბიტრმა ი. მეილახშტეინმა (მოსკოვის ოლქი) მას თამაში დაატოვებინა. ახლა „ა" კლასის I ჯგუფში გაძევებათა რიცხვმა უკვე 15-ს მიაღწია. ეს სამწუხარო „რეკორდები" დისციპლინის დარღვევაში ჯერჯერობით ეკუთვნით როსტოვის არმიელებს, „კაირატს" და „ზენიტს". თვითეულ ამ გუნდს 3 გაძევება აქვს. როსტოველთაგან მინდვრიდან გააძევეს კოპაევი, ესკოვი (ორჯერ), „კაირატიდან" — ფედოტოვი, დიშლენკო, აბგოლცი, „ზენიტიდან" — რუდი, სადირინი და კოპინი (ეს უკანასკნელი უწინ თბილისის „დინამოს" დუბლიორებში და თბილისის „ლოკომოტივში" თამაშობდა).

აღსანიშნავია, რომ თბილისის „დინამოს" და ქუთაისის „ტორპედოს" მოთამაშეთაგან ჯერ არავინ გაუძევებიათ. ორივე გუნდის ოქმებში მხოლოდ თითო გაფრთხილებაა ჩაწერილი (ილიადის და ზარიას).

## ციფრები და ფაქტები

გარკვეულ შემთხვევებში დისციპლინის დარღვევას აღნუსხავს 11-მეტრიანებიც. სადღეისოდ უმაღლეს ლიგაში დანიშნულია 22 პენალტი. მათგან რეალიზებულია 20. ორივე პენალტი მოიგერია თბილისის „დინამოს" მეკარე ურუშაძემ (სტრელცოვისა და მარკაროვისაგან). მოიგერია პენალტი „კაირატის" მეკარე ბუბენეცმაც „კრილია სოვეტოვთან" შეხვედრაში (კაზაკოვის დარტყმა), მაგრამ ბურთს მიუსწრო ეუკოვმა და მაინც მოათავსა იგი ბადეში.

იმრავლა საკუთარ კარში გატანილი, ე. წ. ავტოგოლების რიცხვმაც. სულ ფიქსირებულია 10 ასეთი შემთხვევა. „წინ" არიან როსტოვის არმიელები, „შახტიორი" და თბილისის „დინამო". ამ გუნდებში მოთამაშეებს 2-2-ჯერ გაქქონდათ ბურთები საკუთარ კარში: როსტოველთაგან — მალიხამ და კრავჩენკომ, დონეცკელთაგან — გოლოვკომ და პოლაკმა, თბილისელთაგან — პეტრიაშვილმა და რეხვიაშვილმა.

ექვსმა მოთამაშემ შეძლო ერთ თამაშში 3 ბურთის გატანა. ესენია: ტაშკენტელი აბდურაიმოვი (ორჯერ), ლოკომოტიველები კოხი და ორეშნიკოვი, როსტოველები კოპაევი და მატვეევი და მოსკოვის „დინამოს" თავდამსხმელი ეშივცევი.

ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერთა შორის ასეთი მდგომარეობაა: სიას სათავეში უდგას აბდურაიმოვი — 13 გოლი. კოპაევის ანგარიშზეა 12 ბურთი. სტრელცოვი (მოსკოვის „ტორპედო") 11 გოლის ავტორია, ჰუსაინოვი („სპარტაკი") — 10-სა.

### „ა" კლასი I ჯგუფი

## გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი

მდგომარეობა 20 აგვისტოსათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კიევი) | 25 | 14 | 9 | 2 | 35—15 | 37 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 23 | 14 | 4 | 5 | 40—26 | 32 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 23 | 10 | 9 | 4 | 36—21 | 29 |
| ცსკა | 23 | 11 | 6 | 6 | 27—19 | 28 |
| „დინამო" (თბილისი) | 23 | 9 | 9 | 5 | 24—12 | 27 |
| „დინამო" (მინსკი) | 23 | 10 | 7 | 6 | 25—19 | 27 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 23 | 9 | 9 | 5 | 25—19 | 27 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 23 | 9 | 9 | 5 | 29—25 | 27 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 25 | 10 | 6 | 9 | 33—26 | 26 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 23 | 7 | 10 | 6 | 22—28 | 24 |
| ასკ (როსტოვი) | 23 | 7 | 7 | 9 | 32—33 | 21 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 23 | 6 | 8 | 9 | 15—17 | 20 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 23 | 5 | 10 | 8 | 21—25 | 20 |
| „ნეფტჩი" (ბაქო) | 23 | 6 | 8 | 9 | 21—27 | 20 |
| „ზარია" (ლუგანსკი) | 24 | 6 | 8 | 10 | 18—27 | 20 |
| „არარატი" (ერევანი) | 23 | 7 | 5 | 11 | 19—27 | 19 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 23 | 5 | 6 | 12 | 16—26 | 16 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 24 | 5 | 6 | 13 | 19—30 | 16 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 23 | 5 | 6 | 12 | 24—42 | 16 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 23 | 3 | 8 | 12 | 12—24 | 14 |

### „ა" კლასი II ჯგუფი

III ქვეჯგუფი

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 20 აგვისტოსათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 25 | 15 | 7 | 3 | 38—14 | 37 |
| „დინამო" (მახაჩყალა) | 25 | 11 | 12 | 2 | 19—8 | 34 |
| „ვოლგა" (გორკი) | 24 | 12 | 6 | 6 | 39—18 | 30 |
| „რუბინი" (ყაზანი) | 24 | 11 | 8 | 5 | 29—18 | 30 |
| „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი) | 25 | 10 | 10 | 5 | 27—19 | 30 |
| „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) | 25 | 11 | 6 | 8 | 26—24 | 28 |
| „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) | 25 | 10 | 7 | 8 | 32—24 | 27 |
| „დინამო" (ბათუმი) | 25 | 10 | 7 | 8 | 30—24 | 27 |
| „ფოლადი" (სუმგაითი) | 25 | 9 | 7 | 9 | 22—27 | 25 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 25 | 8 | 8 | 9 | 27—22 | 24 |
| „ზენიტი" (იჟევსკი) | 25 | 8 | 8 | 9 | 25—28 | 24 |
| „ვოლგარი" (ასტრახანი) | 25 | 6 | 10 | 9 | 30—33 | 22 |
| „ზვეზდა" (პერმი) | 25 | 6 | 10 | 9 | 18—28 | 22 |
| „მეტალურგი" (მაგნიტოგორსკი) | 25 | 6 | 10 | 9 | 21—34 | 22 |
| „სპარტაკი" (იოშკარ-ოლა) | 24 | 6 | 9 | 9 | 17—19 | 21 |
| „ტორპედო" (ტაგანროგი) | 24 | 8 | 5 | 11 | 18—25 | 21 |
| „შირაკი" (ლენინაკანი) | 25 | 6 | 8 | 11 | 22—32 | 20 |
| „სტროიტელი" (უფა) | 25 | 5 | 10 | 10 | 24—34 | 20 |
| „ვოლგა" (ულიანოვსკი) | 25 | 8 | 4 | 13 | 26—41 | 20 |
| „თერეკი" (გროზნო) | 24 | 5 | 8 | 11 | 25—32 | 18 |
| „მეშახტე" (ტყიბული) | 25 | 3 | 12 | 10 | 19—20 | 18 |

### „ბ" კლასი

## გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 19 აგვისტოსათვის

III ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დილა" (გორი) | 25 | 15 | 6 | 4 | 47—16 | 36 |
| „სპარტაკი" (ბელგოროდი) | 24 | 15 | 5 | 4 | 46—14 | 35 |
| „შრ. რეზერვები" (კურსკი) | 24 | 14 | 5 | 5 | 34—29 | 33 |
| „უროჟაი" (მაიკოპი) | 25 | 14 | 5 | 6 | 35—14 | 33 |
| „ხიმიკი" (ბელაკოვო) | 25 | 10 | 11 | 4 | 21—12 | 31 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 25 | 13 | 4 | 8 | 24—16 | 30 |
| „სპარტაკი" (ორიოლი) | 24 | 9 | 10 | 5 | 27—17 | 28 |
| „ალაზანი" (გურჯაანი) | 25 | 11 | 5 | 9 | 29—25 | 27 |
| „ენერგია" (ვოლჟსკი) | 25 | 9 | 8 | 8 | 24—18 | 26 |
| „ტორპედო" (არმავირი) | 24 | 9 | 7 | 8 | 23—23 | 25 |
| „უროჟაი" (ლაბინსკი) | 24 | 8 | 9 | 7 | 12—27 | 25 |
| „უროჟაი" (სლავიანსკი) | 25 | 9 | 6 | 10 | 26—24 | 24 |
| „კოლოსი" (ალექსანდროვსკაია) | 25 | 9 | 6 | 10 | 22—25 | 24 |
| „დაშკინი" (ზაქათალა) | 24 | 8 | 6 | 10 | 20—37 | 22 |
| „ტრუდი" (ენგელსი) | 23 | 7 | 7 | 9 | 19—20 | 21 |
| „ტექსტილშჩიკი" (მინგეჩაური) | 25 | 6 | 8 | 11 | 17—32 | 20 |
| „უროჟაი" (სვეტლოგრადი) | 25 | 5 | 9 | 11 | 17—33 | 19 |
| „ხიმიკი" (ნევინომისკი) | 24 | 5 | 8 | 11 | 19—26 | 18 |
| „უროჟაი" (ლენინგრადსკაია) | 24 | 3 | 10 | 11 | 13—26 | 16 |
| „არაზი" (ნახიჭევანი) | 24 | 4 | 5 | 15 | 17—42 | 13 |
| „ურალანი" (ელისტა) | 24 | 1 | 5 | 18 | 19—43 | 7 |

IV ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ლორი" (კიროვაკანი) | 25 | 12 | 11 | 2 | 23—14 | 35 |
| „ცემენტი" (ნოვოროსიისკი) | 25 | 12 | 10 | 3 | 34—13 | 34 |
| „სევანი" (ოქტემბერიანი) | 25 | 12 | 6 | 7 | 37—22 | 30 |
| „მაშუკი" (პიატიგორსკი) | 25 | 12 | 5 | 8 | 29—17 | 29 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 25 | 12 | 5 | 8 | 37—26 | 29 |
| „არაქსი" (ეჩმიაძინი) | 25 | 13 | 3 | 9 | 26—20 | 29 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 25 | 10 | 7 | 8 | 28—32 | 27 |
| „უროჟაი" (კრიმსკი) | 24 | 8 | 10 | 6 | 26—22 | 26 |
| „უროჟაი" (დერბენტი) | 24 | 9 | 8 | 7 | 22—22 | 26 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 25 | 10 | 5 | 10 | 32—24 | 25 |
| „ნარზანი" (კისლოვოდსკი) | 25 | 8 | 9 | 8 | 27—19 | 25 |
| „შუქურა" (ქობულეთი) | 25 | 8 | 9 | 8 | 26—28 | 25 |
| „დინამო" (სოხუმი) | 25 | 10 | 4 | 11 | 32—26 | 24 |
| „ირისთონი" (მოზდოკი) | 25 | 8 | 7 | 10 | 27—27 | 23 |
| „მაღაროელი" (ჭიათურა) | 23 | 7 | 9 | 7 | 20—21 | 23 |
| „ტრუდი" (კასპიისკი) | 24 | 9 | 5 | 10 | 25—29 | 23 |
| „ენგური" (ზუგდიდი) | 25 | 7 | 9 | 9 | 18—25 | 23 |
| „სპარტაკი" (ცხინვალი) | 24 | 5 | 8 | 11 | 14—22 | 18 |
| „ლერნაგორცი" (კაფანი) | 24 | 7 | 3 | 14 | 19—36 | 17 |
| „უროჟაი" (გროზნო) | 24 | 4 | 6 | 14 | 23—40 | 14 |
| „კახეთი" (თელავი) | 24 | 3 | 5 | 16 | 11—39 | 11 |




# საქართველოს თასზე

ფეხბურთში საქართველოს თასის მატჩში ვაზისუბნის „მევენახემ" ლანჩხუთში დაამარცხა ადგილობრივი ფეხბურთელები — 3:0.

# „ამირანი" იმარჯვებს

ლუგანსკში, როგორც ცნობილია, მიმდინარეობს „ტყავის ბურთის პრიზის" საკავშირო გათამაშება ნორჩ ფეხბურთელთა შორის (12-13 წლის ასაკის ბავშვები).

ტურნირში წარმატებით თამაშობს ოჩამჩირის „ამირანი". ნორჩმა ოჩამჩირელებმა გამარჯვებები მოიპოვეს მოსკოვის (4:0), მოლდავეთისა (3:0) და ხაბაროვსკის (2:0) გუნდებთან შეხვედრებში.

აღსანიშნავია, რომ ნორჩმა ოჩამჩირელმა ფეხბურთელებმა თავიანთ გუნდს „ამირანი" უწოდეს გამოჩენილი ქართველი მეკარის ამირან ტყებუჩავას საპატივცემლოდ, რომელმაც სწორედ ოჩამჩირეში აიდგა ფეხი.

**რ. ჭელიძე**

# ცნობები უცხოეთიდან

**ბუდაპეშტი**, 19 აგვისტო. „ოლიმპიური იმედების" საერთაშორისო ტურნირში იუგოსლავიის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ფინალურ მატჩში ანგარიშით 1:0 დაამარცხა უნგრელები და პირველობაც მოიხვეჭა. III ადგილზე გავიდნენ ბულგარელები, IV — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჭაბუკები. საბჭოთა კავშირის გუნდი ბოლო, X ადგილზეა.

**ციურიხი**, 19 აგვისტო. შვეიცარიის მორიგი ჩემპიონატის პირველ ტურში კიევის დინამოელთა მომავალმა მეტოქემ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეთექვსმეტედფინალურ მატჩებში — ადგილობრივმა „ციურიხმა" დაამარცხა „სანკტ გალენი" — 4:0.

**ბუენოს-აირესი**, 19 აგვისტო. ვინ უფრო ძლიერია — პელეს გუნდი, თუ ეუსებიოსი? ამ შეკითხვაზე პასუხი გასცა აქ მიმდინარე ტრადიციული ტურნირის — „პენტაგონალის" მატჩმა ბრაზილიის „სანტოსსა" და პორტუგალიის „ბენფიკას" შორის. გაიმარჯვეს ბრაზილიელებმა — 4:2. მაგრამ ამ შეხვედრაში „ფეხბურთის მეფეებმა" კი არ გამოიჩინეს თავი, არამედ პელეს პარტნიორმა ტონინიომ, რომელმაც მეტოქის კარში ოთხივე გოლი გაიტანა და ეუსებიოს კოლეგებმა ტონიმ და კალადომ.

**ოსლო**, 19 აგვისტო. ნორვეგიის ნაკრებმა აქ გამართულ ამხანაგურ მატჩში დაამარცხა ფინეთის ეროვნული გუნდი — 4:1.

## ჭადრაკის სამყაროში

# კობაიძის 3 ქულა

**დუშეთი**, 19 აგვისტო (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ გრძელდება საქართველოს მოჭადრაკე ქალთა პირველობა. გუშინ გამართულ IX ტურში მხოლოდ სამი პარტია დამთავრდა: მ. სანაძემ მოუგო ზ. შენგელიას (სამტრედია), ს. ივანოვამ — ე. ლომიძეს (ქუთაისი) და ქ. პილცერმა — ც. სიორდიას (ცხაკაია).

დღეს, გადადებული პარტიების დამთავრებისას, ც. კობაიძემ 3 ქულა დააგროვა: მოუგო პილცერს, ლომიძესა და ლ. კოროშინაძეს. ორი პარტია დაამთავრა მ. ჩომახიძემ: მოუგო ქ. გოგიავას და წააგო ც. კახაბრიშვილთან. სანაძემ სძლია ნ. ჩიქობავას. ნ. ალექსანდრიამ გაიმარჯვა თ. ხუგაშვილთან. ყაიმით დასრულდა ივანოვა — პილცერისა და შენგელია — ხაბრიშვილის შეხვედრები.

9 ტურის შემდეგ ლიდერ ჯგუფში არიან: ალექსანდრია — 8 (1), სანაძე, კობაიძე — 7,5-[illegible] თ. ხუგაშვილი, ს. ივანოვა [illegible] 6,5-6,5, ც. კახაბრიშვილი, მ. [illegible] მახიძე — 6-6.

ხვალ მონაწილენი ისვენებენ.

**ნ. სოროკინა**

პირველობის მთავარი მსაჯის მოადგილე, სპორტის ოსტატი

# როცა გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო...

◆ **დებრეცენი**, 19 აგვისტო. უნგრეთის ამ ქალაქში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის დამთავრებამდე 2 ტურით ადრე კვლავ ლიდერობს საბჭოთა დიდოსტატი ვ. ლიბერზონი — 9,5 ქულა 13-დან. მოსკოველს 1 ქულით ჩამორჩება ბულგარელი ოსტატი ი. რადულოვი.

◆ **ასპენი** (კოლორადოს შტატი), 19 აგვისტო. ამერიკის შეერთებული შტატების ღია ჩემპიონატის ცხრილს სათავეში უდგას დანიელი დიდოსტატი ბ. ლარსენი — 6 ტურში მან 6 ქულა დააგროვა! აშშ-ს ჩემპიონ პ. ბენკოს 5,5 ქულა აქვს. ბ. სპასკისთან მხოფლიო ხაჭადრაკო უმაღლესი ტიტულის პრეტენდენტთა ნახევარფინალური მატჩის წაგების შემდეგ ლარსენი ხანგრძლივ ტურნეში გაემართა: ასპენში შეჯიბრების შემდეგ იგი კანადის ღია ჩემპიონატში ითამაშებს, მერე კი სამკვირიან გამოსვლებს გამართავს ამერიკის შეერთებულ შტატებში.

◆ **სინგაპური**, 19 აგვისტო. სინგაპურის ღია ჩემპიონატში 40-ზე მეტი მოჭადრაკე მონაწილეობს. ესენი არიან იუგოსლავიის, ჰონკონგის, ტაილანდის, ფილიპინების, ინდონეზიის, მალაიზიის, დანიის, ჰოლანდიის, იაპონიისა და სინგაპურის წარმომადგენლები. 5 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ საერთაშორისო ოსტატი ნ. კარაკლაიჩი (იუგოსლავია) და ინდონეზიელი ონგ იოკე ხვა. მათ 4-4 ქულა აქვთ.

# სხვადასხვა

**ბუდაპეშტი.** ქალაქის ჩემპიონი გახდა ოსტატი ფორინტოში. II-III ადგილები გაიყვეს ოსტატებმა [illegible]დელიმ და კლიუგერმა.

**ბერლინი.** გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონის სახელი მეოთხედ მოიპოვა დიდოსტატმა ულმანმა — 15,5 ქულა 19-დან. ქალებში მეექვსედ გახდა ჩემპიონი საერთაშორისო ოსტატი ნო[illegible]ვარა — 10,5 ქულა 13-დან.

**ბონი.** ჰოლანდიისა და გფრ-ის მოჭადრაკეთა X ტრადიციული ამხანაგური შეხვედრა ათ დაფაზე [illegible]წრედ გაიმართა. გაიმარჯვეს ჰოლანდიელებმა — 10,5:9,5.

**რედაქტორი მ. კაკაბაძე**

## თბილისის სპორტულ ბაზებზე

**კალათბურთი.** კიროვის სახ. პარკის სტადიონი. 20 აგვისტო. ქალთა გუნდების საერთაშორისო შეხვედრა: „ბურევესტნიკი" (თბილისი) — პარიზის უნივერსიტეტი. დასაწყისი 20 ს.

**ფეხბურთი.** „დინამოს" სტადიონი. სსრ კავშირის პირველობა. „დინამო" (თბილისი) — „არარატი" (ერევანი). 21 აგვისტოს — სათადარიგო შემადგენლობანი, 22 აგვისტოს — ძირითადი შემადგენლობანი. მატჩების დასაწყისი 17 ს. 45 წ.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 00841